საქართველოს ტერიტორიაზე მასტიმულირებელ აქციაში «იკითხე ზღაპრები ბარნისთან ერთად და მოემზადე სკოლისათვის» ჩატარების წესები და მონაწილეობის პირობები
(შემდგომში ტექსტში – «აქცია»)

1. ზოგადი დებულებები

1.1. სარეკლამო აქცია პირობითი სახელწოდებით ««იკითხე ზღაპრები ბარნისთან ერთად და მოემზადე სკოლისათვის» იმართება საქართველოს ტერიტორიაზე და მიმართულია ორგანიზატორის მიერ სავაჭრო ნიშნის „ბარნი“ ქვეშ რეალიზებული პროდუქციის პოპულარიზაციისკენ.

1.2. აქცია არ არის ლატარია ან/და წამახალისებელი გათამაშება.

1.3. ჩატარების ტერიტორია – საქართველო.

1.4. აქცია გაიმართება საქართველოს ტეროტორიაზე მდებარე ყველა მაღაზიაში.

1.5. აქციის გამართვის ოფიციალური წესები და მასში მონაწილეობის პირობები (შემდგომში – «წესები») განთავსებულია ვებსაიტზე ge.barni.org-ზე (შემდგომში «საიტი ან/და ვებგვერდი»).

1.6. აქციის წესების გაცნობა შესაძლებელია საიტზე.

2. აქციაში მონაწილე საქონლის დასახელება (შემდგომში «პროდუქცია»).

- დათუნია ბარნი შოკოლადის შიგთავსით 20x150 გ;
- დათუნია ბარნი რძის შიგთავსით 20x150 გ;
- დათუნია ბარნი ბანანის შიგთავსით 20x150 გ;
- დათუნია ბარნი ატმის შიგთავსით 20x150 გ;
- დათუნია ბარნი შოკოლადის შიგთავსით 20x300 გ;

3. აქციის ორგანიზატორი და ოპერატორები

3.1. აქციის ორგანიზატორია შპს მონდელიზ საქართველო, საიდ.კ 404894575 (შემდგომში– «ორგანიზატორი»). მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №70, მე-5 სართული.

3.2. აქციის ოპერატორია შპს «ჯორჯია მედია იქსჩეინჯ»-ი, საიდ.კ 204574399 (შემდგომში - «ოპერატორი») . მისამართი: საქართველო, თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქუჩა, 85, მე-5 სართული,

3.2.1. აქციის ოპერატორი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- აქციის ოპერატიული ნაწილის ზოგადი მართვა და კონტროლი საქართველოს ტერიტორიაზე;
- «ბარნის» შეფუთვის სკანირების მოდერაცია;
- კომუნიკაცია მონაწილეებსა და გამარჯვებულებთან;
- გამარჯვებულებისთვის პრიზების გადაცემის კონტროლი;
- გამარჯვებულებისთვის გარანტირებული პრიზის გადაცემა მე-6 პუნქტის შესაბამისად.
- აქციის ჩატარების და პრიზების გადაცემის დოკუმენტალური გაფორმება;
- ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის გადახდა პრიზებთან მიმართებით.
- აქციის წესებით გათვალისწინებული გამარჯვებულებისა და პრიზების მფლობელების დადგენა;

4. აქციის მონაწილეები

4.1. აქციაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან საქართველოს სრულწლოვანი (18 წლის და მეტი) ქმედუნარიანი მოქალაქეები და საქართველოში ბინადრობის ან დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრებენ საქართველოს ტერიტორიაზე.

4.2. აქციაში მონაწილეობისთვის არ დაიშვებიან: საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქეები, აქციის ორგანიზატორის/ოპერატორების თანამშრომლები, მოქალაქეობის არმქონე პირები და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეები, რომლებსაც არ აქვთ საქართველოში ბინადრობის ნებართვა.

5. აქციის ჩატარების ვადები

5.1. აქციის ჩატარების საერთო ვადა და მონაწილეთა მიერ შეფუთვების სკანირების/ატვირთვის ვადა: 2024 წლის 1 სექტემბრის 00 საათი 00 წუთი 01 წამი (ქ.თბილისის დროით) 2024 წლის 30 ნოემბრის 23 საათის 59 წუთის 59 წამის ჩათვლით (ქ.თბილისის დროით) (შემდგომში – აქციის ვადა და შეფუთვების სკანირების/ატვირთვის ვადა).

5.2. გამარჯვებულების გამოვლენის ვადა: 2024 წლის «08» სექტემბრიდან 2024 წლის «01» დეკემბრის ჩათვლით , კერძოდ:

- აქციის პირველი კვირა 1-7 სექტემბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 8 სექტემბერს.
- აქციის მეორე კვირა 8-14 სექტემბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 15 სექტემბერს.
- აქციის მესამე კვირა 15-21 სექტემბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 22 სექტემბერს;
- აქციის მეოთხე კვირა 22-28 სექტემბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 29 სექტემბერს;
- აქციის მეხუთე კვირა 29 სექტემბერი - 5 ოქტომბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 6 ოქტომბერს;
- აქციის მეექვსე კვირა 6-12 ოქტომბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 13 ოქტომბერს;
- აქციის მეშვიდე კვირა 13-19 ოქტომბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 20 ოქტომბერს;
- აქციის მერვე კვირა 20-26 ოქტომბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 27 ოქტომბერს;
- აქციის მეცხრე კვირა 27ოქტომბერი-2 ნოემბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 3 ნოემბერს;
- აქციის მეათე კვირა 3-9 ნოემბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 10 ნოემბერს;
- აქციის მეთერთმეტე კვირა 10-16 ნოემბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 17 ნოემბერს;
- აქციის მეთორმეტე კვირა 17-23 ნოემბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 24 ნოემბერს;
- აქციის მეცამეტე კვირა 24-30 ნოემბერი - გამარჯვებულები გამოვლინდებიან 1 დეკემბერს;

5.3. გამარჯვებულებისთვის პრიზების გადაცემის ვადა: 2024 წლის «10» სექტემბრიდან 2024 წლის «31» დეკემბერის ჩათვლით (ჩათვლით).

5.4. აქცია გრძელდება 13 კვირის განმავლობაში.

6. აქციის საპრიზო ფონდის შემადგენლობა და ოდენობა

აქციის საპრიზო ფონდი იქმნება ორგანიზატორის სახსრების ხარჯზე და შედგება შემდეგი პრიზებისგან (შემდგომში – «პრიზები»):

6.1. გარანტირებული პრიზები:

6.1.1. საქართველოს ავტორების წიგნები არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ერთეულის ოდენობით

საქართველოს ტერიტორიაზე აქციის მთელი პერიოდის განმავლობაში;

6.2. ყოველკვირეული პრიზები (შემდგომში – «ყოველკვირეული პრიზი»):

6.2.1. https://chita.ge/-ს ვაუჩერი ნომინალით 50 (ორმოცდაათი) ლარი 80 (ოთხმოცი) ცალი 2024 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში.

6.2.2. საკანცელარიო ნაკრები 15 ცალის ოდენობით 2024 წლის 27 ოქტომბრიდან 2024 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში.

6.2.3 კონსტრუქტორი კუბიკები 10 ცალის ოდენობით 2024 წლის 27 ოქტომბრიდან 2024 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში.

7. აქციაში მონაწილეობის წესები

7.1. იმისათვის, რომ გახდეთ აქციის მონაწილე (შემდგომში «მონაწილე») და გქონდეთ პრიზის მოგების შესაძლებლობა, საჭიროა აქციის პერიოდში შემდეგი მოქმედებების შესრულება:

- მოკლე რეგისტრაციის გავლა, სახელის, გვარის, ელექტრონული ფოსტის და მობილური ტელეფონის ნომერის მითითებით.
- მონაწილის პირად კაბინეტზე წვდომის მიღება.
- ზღაპრების წაკითხვა და/ან მოსმენა
- ვიქტორინაზე წვდომის მისაღებად აქციის საიტზე ge.barni.org-ზე 1 (ერთი) შეფუთვის ფოტოსურათის ატვირთვა;
- ვიქტორინის კითხვებზე პასუხის გაცემა: თითოეული სწორი პასუხისთვის მონაწილე იღებს 1 (ერთ) ქულას.
- დამატებითი ქულების მისაღებად მონაწილეს შეუძლია:

-- გაგზავნოს რეფერალური ბმული რეგისტრაციისთვის: ამ ბმულის მიმღების მიერ რეგისტრაციისა და მინიმუმ 1 (ერთი) შეფუთვის ფოტოსურათის ატვირთვის შემდეგ ბმულის გამგზავნი მონაწილე იღებს დამატებით 1 (ერთ) ქულას.

-- ატვირთოს შეფუთვების ფოტო: შეფუთვები ერთდროულად უნდა ჩანდეს ერთ ფოტოზე:

-- 2 (ორი) შეფუთვის ფოტოს ატვირთვისთვის მონაწილე იღებს დამატებით 2 (ორ) ქულას;

-- 3 (სამი) შეფუთვის ფოტოს ატვირთვისთვის მონაწილე იღებს დამატებით 3 (სამ) ქულას;

-- 4 (ოთხი) შეფუთვის ფოტოს ატვირთვისთვის მონაწილე იღებს დამატებით 4 (ოთხ) ქულას;

-- 5 (ხუთი) შეფუთვის ფოტოს ატვირთვისთვის მონაწილე იღებს დამატებით 5 (ხუთ) ქულას.

- გარანტირებული პრიზის მისაღებად მონაწილემ უნდა ატვირთოს 2 (ორი) ან მეტი შეფუთვის ფოტო.

7.2. თითოეული კვირის მანძილზე მონაწილეს შეუძლია თითო სახის პროდუქტის ატვირთვა სხვადასხვა ფოტოსურათში არაუმეტეს 1 (ერთ) ჯერ. ერთ ფოტოსურათში ერთიდაიგივე სახის რამდენიმე პროდუქტის გამოყენება არ არის შეზღუდული .

7.2.1. მონაწილეს შეუძლია კვირაში არაუმეტეს ხუთი (5) დამატებითი ქულის მიღება რეფერალური ბმულის მეშვეობით რეგისტრაციისთვის.

7.2.2. მონაწილეს შეუძლია კვირაში არაუმეტეს 25 (ოცდახუთი) დამატებითი ქულის მიღება შეფუთვების ფოტოების ატვირთვისთვის.

7.3. მონაწილეს შეუძლია მხოლოდ ერთი ანგარიშის დარეგისტრირება საიტზე ge.barni.org-ზე

7.4. დაუშვებელია აქციის ერთი მონაწილის მრავალჯერადი რეგისტრაცია საიტზე ge.barni.org-ზე რამდენიმე ტელეფონის ნომრის და ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენებით. აქციის მონაწილის ასეთი ქმედება წარმოადგენს აქციის წინამდებარე წესების დარღვევას.

7.5. თუ ორგანიზატორი/ოპერატორი გამოავლენს მრავალჯერადი რეგისტრაციის ფაქტს (რეგისტრაციის დროს რამდენიმე ელექტრონული ფოსტის მისამართისთვის მითითებულია აქციის ერთი მონაწილის პასპორტის მონაცემები), ორგანიზატორი/ოპერატორი უფლებამოსილია უარი თქვას აქციის მონაწილისთვის პრიზის გაცემაზე და გარიცხოს იგი აქციაში მონაწილეობისგან.

7.6. ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს აქციის მონაწილეებს დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია შეფუთვების ლეგალობის დამატებითი გადამოწმებისთვის, ასევე აქციის მონაწილის მიერ აქციის სხვა წესების დაცვის დადასტურებისთვის.

7.7. მონაწილე იღებს ვალდებულებას ოპერატორისგან შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში წერილის სახით მიაწოდოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე support@ge.barni.org-ზე შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

-პირადობის დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტის სკანირებული ასლი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პირადი ნომრის, ფოტოსურათის, სახელისა და გვარის და დაბადების თარიღის შესახებ;

- საცხოვრებელი ადგილი;

- სხვა ინფორმაციას ოპერატორის მოთხოვნით.

7.8. ამ დოკუმენტების ასლები უნდა იყოს მკაფიო, წაკითხვადი ყველა ასოებითა და ციფრებით.

7.9. მონაწილისგან დოკუმენტებისა და ინფორმაციის მიღებისთანავე ოპერატორი განიხილავს მათ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. წარდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის განხილვის შედეგების საფუძველზე ოპერატორი უფლებამოსილია დაუშვას აქციის მონაწილის განაცხადი, რომელიც გახდა დამატებითი დოკუმენტების და ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველი, აქციაში მონაწილეობის მისაღებად ან გააუქმოს იგი.

7.10. თუ მონაწილე მითითებულ ვადაში ვერ წარმოადგენს საჭირო მონაცემებს, აქციის მონაწილის განაცხადი, რომელიც დამატებითი დოკუმენტაციის და ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველი გახდა, უქმდება და არ დაიშვება აქციაში მონაწილეობის მისაღებად.

7.11. განაცხადები (შეფუთვები), რომლებმაც ვერ გაიარეს ვალიდაცია, ასევე გაუქმებული განაცხადები (შეფუთვები) არ დაიშვება აქციაში განმეორებითი მონაწილეობისთვის.

7.12. თუ აქციის მონაწილისგან ინფორმაციის და დოკუმენტების მოთხოვნის და წარდგენის დროს გამოვლინდება აქციის მონაწილის მიერ წინამდებარე აქციის წესების დარღვევის ფაქტი, ოპერატორი უფლებამოსილია გარიცხოს აქციის ასეთი მონაწილე აქციაში შემდგომი მონაწილეობისგან და უარი თქვას პრიზების გაცემაზე.

7.13. მონაწილეს შეუძლია მოიგოს თითოეული სახის პრიზი არა უმეტეს 1 (ერთი) ჯერ.

8. გამარჯვებულის გამოვლენა

8.1. გარანტირებული პრიზების მფლობელები გამოვლინდებიან განაცხადის მიღების ვადის განმავლობაში პირველ 1000 მონაწილეს შორის, ვინც დარეგისტრირდა საიტზე და გამოაგზავნა ერთ ფოტოში პროდუქციის 2 (ორი) ერთეული წინამდებარე წესების შესაბამისად 2024 წლის 01 სექტემბრიდან 2024 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

8.2. ყოველკვირეული პრიზების განსაზღვრა:

8.2.1. ყოველკვირეული პრიზის მფლობელები გამოვლინდებიან განაცხადის მიღების ვადის განმავლობაში ყველა იმ მონაწილეს შორის, რომელიც 5,2 პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდებში მოხვდება რეიტინგში.

8.3. ყოველკვირეული პრიზის გამარჯვებულების გამოვლენის თარიღები:

8.3.1. ყველა მონაწილე, რომელიც ატვირთავს პროდუქციის ერთი (1) შეფუთვის ფოტოს, მიიღებს ვიქტორინაზე წვდომას ქულების დათვლის საერთო სისტემით.

8.3.2. ყველა მონაწილე ჩაირთვება საერთო რეიტინგში. ქულები ჯამდება მონაწილის რეიტინგში.

8.3.3. ერთი კვირის განმავლობაში შენარჩუნებულია ერთი რეიტინგი, რომლის შედეგები ნულდება მომდევნო კვირაში.

8.3.4. 2024 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში მონაწილეები, რომლებიც ყოველი კვირის რეიტინგში 1-დან მე-10 ადგილებს დაიკავებენ, იღებენ ყოველკვირეულ პრიზს https://chita.ge/-ს ვაუჩერს თანახმად 6.2.1 პუნქტისა. იმ შემთხვევაში, როდესაც კვირის რეიტინგში ორ ან/და რამდენიმე მონაწილეს აქვს თანაბარი ქულა, გამარჯვებულად გამოცხადდებიან ის მონაწილეები, რომელთაც უფრო ადრე დააგროვეს ქულები.

8.3.5. 2024 წლის 27 ოქტომბრიდან 2024 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში მონაწილეები, რომლებიც ყოველი კვირის რეიტინგში 1, მე-2 და მე-3 ადგილებს დაიკავებენ, იღებენ ყოველკვირეულ პრიზს საკანცელარიო ნაკრებს თანახმად 6.2.2. პუნქტისა; იმ შემთხვევაში, როდესაც კვირის რეიტინგში ორ ან/და რამდენიმე მონაწილეს აქვს თანაბარი ქულა, გამარჯვებულად გამოცხადდებიან ის მონაწილეები, რომელთაც უფრო ადრე დააგროვეს ქულები.

8.3.6. 2024 წლის 27 ოქტომბრიდან 2024 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში მონაწილეები, რომლებიც ყოველი კვირის რეიტინგში მე-4 და მე-5 ადგილებს დაიკავებენ, იღებენ ყოველკვირეულ პრიზს კონსტრუქტორი კუბიკებს თანახმად 6.2.3. პუნქტისა;იმ შემთხვევაში, როდესაც კვირის რეიტინგში ორ ან/და რამდენიმე მონაწილეს აქვს თანაბარი ქულა, გამარჯვებულად გამოცხადდებიან ის მონაწილეები, რომელთაც უფრო ადრე დააგროვეს ქულები.

8.3.7. ყოველი კვირის რეიტინგი გამოქვეყნდება საიტზე ge.barni.org-ზე და ყოველ საათში ხდება მისი განახლდება რეალურ დროში თითოეულ მონაწილეს შეუძლია ნახოს თავისი ქულები და ადგილი რეიტინგში პირად კაბინეტში.

8.3.8. გამარჯვებულთა სია გამოქვეყნდება საიტზე ge.barni.org-ზე.

8.3.9. პრიზების მფლობელების სია განთავსდება აქციის საიტზე ge.barni.org-ზე 2024 წლის «31» დეკემბრის ჩათვლით.

9. პრიზების გადაცემის პროცედურა

9.1. წინამდებარე წესების 5.4 პუნქტში მითითებული პერიოდის განმავლობაში ოპერატორი ახორციელებს აქციის პრიზების გაგზავნას.

9.2. გარანტირებული და ყოველკვირეული პრიზები გადაეცემა ხელიდან ხელში ოპერატორის ოფისში ან საქართველოს საკურიერო სამსახურის მიერ.

9.3. პრიზის მისაღებად, გამარჯვებული იღებს ვალდებულებას 72 საათის განმავლობაში მიაწოდოს ოპერატორს ელექტრონულ ფოსტაზე support@ge.barni.org-ზე შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- დაადასტუროს მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც მითითებული იყო რეგისტრაციისას აქციის საიტზე ge.barni.org-ზე და რომელზეც ოპერატორს შეუძლია დაუკავშირდეს გამარჯვებულს.
- მიუთითოს მისამართი პრიზის მიწოდებისთვის;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სკანირებული ასლი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას დოკუმენტის ნომრის, ფოტოსურათის, სრული სახელის, პირადი ნომრის, დაბადების თარიღის, მოქმედების ვადის შესახებ;
- სხვა ინფორმაცია ოპერატორის მოთხოვნით, რომელიც საჭიროა გამარჯვებულისთვის პრიზების გადასაცემად.

9.4. თუ გამარჯვებულმა წარმოადგინა არასწორი ინფორმაცია პრიზის მიწოდების შესახებ, საიტზე მითითებულია აქციის არასწორი ტელეფონის ნომერი ან 72 საათის განმავლობაში არ მიაწოდა დოკუმენტები წინამდებარე წესების 9.3 პუნქტის შესაბამისად, ოპერატორი იტოვებს უფლებას არ გადასცეს პრიზი გამარჯვებულს და განკარგოს იგი საკუთარი შეხედულებისამებრ.

9.5. არ შეიძლება პრიზების გადაცემა ფულადი ეკვივალენტის სახით.

9.6. პრიზების გარე იერსახე შეიძლება განსხვავდებოდეს მათი გამოსახულებისაგან სარეკლამო-საინფორმაციო მასალებში, რომლებიც განთავსებულია ტელევიზიაში და ინტერნეტის ქსელში.

9.7. ორგანიზატორის ვალდებულებები პრიზების ხარისხთან დაკავშირებით შემოიფარგლება მათი მწარმოებლების მიერ მოწოდებული გარანტიებით. ხარისხთან დაკავშირებით პრეტენზიები უნდა წარედგინოს პირდაპირ მწარმოებლებს.

9.8. თუ რაიმე მიზეზით რაიმე პრიზი არ იქნა მოთხოვნილი, ასევე, თუ მონაწილეები ან გამარჯვებულები არ წარმოადგენენ წინამდებარე წესებში მითითებულ ყველა საჭირო დოკუმენტს და ინფორმაციას ორგანიზატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ორგანიზატორს აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს პრიზის მიღებაზე გამარჯვებული პრეტენდენტი ან გააუქმოს შესაბამისი პრიზი.

10. სხვა პირობები

10.1. აქციის ორგანიზატორი უფლებამოსილია შეცვალოს მოცემული აქციის პირობები აქციის ჩატარების მთელი პერიოდის განმავლობაში, აქციის მონაწილეების წინასწარი შეტყობინებით საიტზე ცვლილებების ძალაში შესვლამდე სამი კალენდარული დღით ადრე.

10.2. აქციის ორგანიზატორი და/ან ოპერატორები, აქციის ორგანიზატორის დავალებით, უფლებამოსილნი არიან უარი განუცხადონ კონკრეტულ პირს პრიზის გაცემაზე, ასეთი პირის მიერ წარმოდგენილ მონაცემებში ნამდვილობისადმი შეუსაბამობის გამოვლენის და/ან აქციის მონაწილის მიერ ჩასატარებელი აქციის წესების სხვაგვარად შეუსრულებლობის შემთხვევაში. პრიზის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ორგანიზატორი განკარგავს პრიზს საკუთარი შეხედულებისამებრ.

10.3. ორგანიზატორს ან/და ოპერატორს, აქციის ორგანიზატორის დავალებით, შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ ბათილად ცნოს განაცხადები მონაწილეობაზე, ასევე აუკრძალოს წინამდებარე აქციაში შემდგომი მონაწილეობა ნებისმიერ პირს, რომელიც აყალბებს ან სარგებელს იღებს მონაწილეობაზე შესატანი განაცხადის გაყალბებისგან ან აქციის ჩატარებისგან ან მოქმედებს წინამდებარე წესების დარღვევით, დესტრუქციულად მოქმედებს ან მოქმედებს ნებისმიერი პირის განაწყენების, შეურაცხყოფის, მუქარის ან შეწუხების განზრახვით, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს წინამდებარე აქციასთან, მათ შორის შეზღუდვების გარეშე შემდეგ ქმედებებთან:

10.4. თუ აქციის ორგანიზატორს/ოპერატორს აქვს რაიმე ვარაუდი, რომ რეგისტრაციისას მონაწილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არის არასწორი, არასრული, მცდარი ან არაზუსტი;

10.5. თუ აქციის ორგანიზატორს/ოპერატორს აქვს ეჭვი/საფუძველი ივარაუდოს, რომ მონაწილე ჩადის თაღლითურ ქმედებებს, მონაწილეობს მოტყუებაში, მოსყიდვაში ან ფინანსურ მაქინაციებში, მათ შორის მრავალრიცხოვან რეგისტრაციაში, საიტზე დინამიური და სხვა მანიპულაციების გამოყენებაში, რამაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის და ხარისხის არასასურველი შედეგები როგორც თავად საიტისთვის, ასევე მისი მონაწილეებისთვის;

10.6. თუ მონაწილე მოქმედებს წინამდებარე წესების დარღვევით, ოპერატორი უფლებამოსილია მოითხოვოს აქციის მონაწილეებისგან დოკუმენტები და ინფორმაცია, რომლებიც საჭიროა აქციის მონაწილის მიერ აქციის წესების დაცვის დადასტურებისთვის. აქციის მონაწილის მიერ საჭირო მონაცემებს მითითებულ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, აქციის მონაწილის განაცხადი, რომელიც გახდა დამატებითი დოკუმენტების და ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველი, უქმდება და არ დაიშვება აქციაში მონაწილეობისთვის.

10.7. თუ აქციის მონაწილისგან ინფორმაციის და დოკუმენტების მოთხოვნის და წარდგენის დროს გამოვლინდება აქციის მონაწილის მიერ აქციის წინამდებარე წესების დარღვევის ფაქტი, ოპერატორები უფლებამოსილნი არიან გარიცხონ აქციის ასეთი მონაწილე აქციაში შემდგომი მონაწილეობისგან და უარი თქვან პრიზების გაცემაზე.

10.8. თუ რაიმე მიზეზით აქცია ვერ ჩატარდება ისე, როგორც ეს დაგეგმილი იყო, მათ შორის ისეთი მიზეზების ჩათვლით, რომლებიც გამოწვეულია კომპიუტერული ვირუსებით, ინტერნეტის ქსელში გაუმართაობით, დეფექტებით, მანიპულაციებით, არასანქცირებული ჩარევით, ფალსიფიცირებით, ტექნიკური გაუმართაობით ან ნებისმიერი მიზეზით, რომლიც ორგანიზატორის კონტროლს მიღმა რჩება და ამახინჯებს ან ეხება აქციის შესრულებას, უსაფრთხოებას, სამართლიანობას, მთლიანობას ან სათანადო ჩატარებას, ორგანიზატორს შეუძლია, თავისი ერთპიროვნული შეხედულებისამებრ, გააუქმოს, შეწყვიტოს, შეცვალოს ან დროებით შეაჩეროს აქციის ჩატარება ან ბათილად ცნოს ნებისმიერი განაცხადი მონაწილეობაზე.

10.9. ორგანიზატორი უფლებამოსილია არ შევიდეს წერილობით მოლაპარაკებებში ან სხვა კონტაქტში აქციის მონაწილეებთან, რაც დაკავშირებული არ არის აქციის ჩატარებასთან.

10.10. აქციის ორგანიზატორი/ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი, იმაზე, რომ მონაწილეები არ გაეცნენ აქციის ჩატარების წესებსა და მონაწილეობის პირობებს და ასევე აქციის ჩატარების შედეგებს; არ მიიღო მონაწილეთაგან წერილები, ზარები, ფაქსიმილური და/ან ელექტრონული შეტყობინებები, მათ შორის საფოსტო სამსახურის, კავშირგაბმულობის ორგანიზაციების ბრალით, ტექნიკური პრობლემების და/ან თაღლითობის შედეგად ინტერნეტის ქსელში და/ან საკომუნიკაციო არხებში, რომლებიც გამოიყენება აქციის ჩატარების დროს; არ მიიღო (დროულად არ მიიღო) მონაწილეთაგან პრიზების მისაღებად საჭირო დოკუმენტები და/ან მონაცემები; მიიღო მონაწილეთაგან არასრული და/ან არაკორექტული საკონტაქტო და/ან სხვა მონაცემები, რომლებიც საჭიროა აქციის ჩატარების და პრიზების გადაცემის მიზნებისათვის.

10.11. ორგანიზატორი არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე წესებში აღნიშნულ ვალდებულებებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოქმნის შემთხვევაში.

10.12. ყველა სადავო საკითხი, რომელიც წინამდებარე აქციას ეხება, წესრიგდება საქართველოს მოქმედი

კანონმდებლობით.

11. პერსონალური მონაცემები

11.1. აქციაში მონაწილე პირებმა (შემდგომში «პერსონალური მონაცემების სუბიექტები») ვალდებულნი არიან წარადგინონ თავიანთი პერსონალური მონაცემები. მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს და დაცულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს: შპს მონდელიზ საქართველო, საიდ.კ 404894575. ადგილმდებარეობა: ვაკის რაიონი ვაჟა-ფშაველას გამზირი N70 მე-5 სართული და შპს ჯორჯია მედია იქსჩეინჯი. მისამართი: საქართველო, თბილისი, ქ. ზ.ფალიაშვილის 85 მე-5 სართული, საიდ.კ: 204574399.

11.3. პერსონალური მონაცემების შეგროვების მიზნებია:

პერსონალური მონაცემების შეგროვება ხდება:

- მონაწილეებისთვის პრიზების გასაგზავნად, მოგების შესახებ შეტყობინების გასაგზავნად;
- მარკეტინგული ანალიზის ჩატარებისა და სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისთვის
- აქციის მსვლელობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, გამარჯვებულთა სიის ან/და რეიტინგის განთავსებას აქციის ვებგვერდზე ge.barni.org 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით: იგულისხმობს სახელის, გვარის, ტელეფონის ნომრის გამოქვეყნება დაშიფრული-არასრული სახით.
- სხვა საჭირო მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.4. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები:. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს შემდეგი საფუძვებით:

- მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე; ან
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; ან
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად. ან
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად. ან
- საქართველოს კანონმდებლობით გათლისწინებული სხვა საფუძვლები.

11.5. პერსონალური მონაცემების სუბიექტების თანხმობით მიღებული პერსონალური მონაცემები ოპერატორისა და სხვა მესამე პირების მიერ აქციის ორგანიზატორის სახელით შეიტანება საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სპეციალურად დაცულ მონაცემთა ბაზაში.

11.6. პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება განხორციელდეს როგორც ოპერატორის, ასევე მის მიერ უფლებამოსილი პირების მიერ მონაცემთა დამუშავების ავტომატური საშუალებების გამოყენებით. მონაწილეს უფლება აქვს მიიღოს სხვა ინფორმაცია იმ პირის შესახებ, რომელიც ამუშავებს მონაწილის პერსონალურ მონაცემებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.7. პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გზებით: შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, შეკრება, შენახვა, აღდგენა, სისტემატიზაცია, დაზუსტება (განახლება, შეცვლა), გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა და/ან განადგურება აქციის მიზნით, აგრეთვე მონაცემთა დამუშავება გამჟღავნების გზით მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.

11.8. პერსონალური მონაცემების დამუშავების ვადა: აქციის მოქმედების პერიოდი, ასევე ერთი წელი მისი

დასრულების დღიდან.

11.9. . პერსონალური მონაცემების სუბიექტის პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება:

1.მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მის შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;

ბ) მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;

გ) მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

დ) მონაცემთა სუბიექტის ამ თავით გათვალისწინებული უფლებების შესახებ;

ე)მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;

ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;

ზ) ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე.

11.10. ოპერატორები, აქციის ორგანიზატორი და სხვა მესამე პირები, რომლებიც ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს ოპერატორის ან პარტნიორის სახელით, რომლებსაც აქვთ წვდომა პერსონალურ მონაცემებზე, უზრუნველყოფენ ზომებს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მათი დამუშავების დროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად..

11.11. პერსონალური მონაცემების სუბიექტს უფლება აქვს გააუქმოს თანხმობა აქციის პერსონალური მონაცემების ოპერატორს ელექტრონული ფოსტით გაგზავნით, შეტყობინებაში მითითებულია აქციის დასახელება, მისი გვარი, სახელი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი და ქვეყანა, რაც მონაწილემ აღნიშნა, რომ მონაწილეობა მიეღო აქციაში მისი სარეგისტრაციო მონაცემებიდან

11.12. ყველაფერში, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესებით, ორგანიზატორი და მონაწილეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.